საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 5120/01
05/06/2020

5120-01-2-202006051440

შპს „ატლანტ-ოილის“ დირექტორს
ბატონ მამუკა მიქელაძეს
მის: *ქ. ახალციხე, მ. თამარაშვილის ქ. N41ა, ბინა 38*

ბატონო მამუკა,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 1 ივნისის №8024 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ახალციხეში ავტოგასამართი სადგურის მოწყობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- ავტოგასამართი მოედნის გადახურვის შესახებ, ასევე ნავთობპროდუქტების მიღების, ავზებში ჩატვირთვის და მისი შემდგომი რეალიზაციის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ნავთობდამჭერში გაწმენდილი წყლის და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმის შესახებ.

დაზუსტებას საჭიროებს ასევე ინფორმაცია მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ნარჩენების შესახებ (მათი სახეობების და რაოდენობის მითითებით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენა აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე